კონსტრუქციული დასკვნა

საპროექტო ობიექტი:
ქალაქი თბილისი, თავისუფლების ქუჩა № 14ბ, ს/კ: 01.72.12.130.003, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

საგანი:
მომიჯნავე შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება მშენებლობის წარმოების პროცესში

საპროექტო 10 სართულიან შენობას აქვს ორი მიწიქვეშა სართული (პარკინკი). 100 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი ფილით ის დაფუძნებულია ნახევრადმყარი კონსისტენციის თიხნარებზე.

საპროექტო ტერიტორიას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, საკადასტრო კოდით 72.12.03.060 და მისამართით ქალაქი თბილისი, გოჩა ცქიტიშვილის ქუჩა №35, ემიჯნება წყლის სატუმბო ძველი შენობა (იხ. ფოტო). ნაგებობა ერთსართულიანია,




გრუნტში ჩაღრმავებული რკინაბეტონის კონსტრუქციებით, ნაწილობრივ აგურის შევსებით. საპროექტო შენობიდან დაცილებულია 12,5 მეტრით და დაფუძნებულია ლენტური ტიპის საძირკვლებზე. მოცემული ნაგებობის მიმართ სრულად არის დაცული სამშენებლო ნორმების და წესების "შენობების და ნაგებობების ფუძეები პნ 02.01-08" მუხლი 10 პუნქტი 5 მოთხოვნები. ნორმების ეს პუნქტი ასახავს მომიჯნავე ფუძე-საძირკვლების გეომეტრიის და გრუნტებზე ძალვების (შენობების დატვირთვები) განაწილება-ურთიერთგავლენის პარამეტრებს.

ყველა სხვა შენობა-ნაგებობა, რომლებიც განლაგებულია მომიჯნავედ მდებარე ნაკვეთებზე, საპროექტო შენობიდან დაცილებულია 20 მეტრიან რადიუსზე შორს და მოცემულ კვლევაში არ განიხილება.

დასკვნა:
საპროექტო ობიექტის მშენებლობის წარმოება არ მოახდენს უარყოფით გავლენას მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მდგრადობა-მზიდუნარიანობაზე.

ექსპერტი,
ინჟინერ-კონსტრუქტორი, ტ.მ.დ.,
შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი ე. წოწერია

თბილისი 18-12-2023